

ანგარიში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს 2014 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ხელმძღვანელობს რა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნებით. დადგენილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი – ქ.ბათუმის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი. დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია. თვალსაჩინო ადგილას სპეციალურ საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონები, სამსახურებრივი ინსტრუქცია და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლების შესახებ“ სამართლებრივი აქტის ქსეროასლი.

2014 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე შემოსულია 41 წერილი საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დაცვით:

- გაცემულია ინფორმაციების ქსეროასლები, რომელთა რაოდენობა შეადგენს A4 ფორმატის ქაღალდის 346 გვერდს და შესაბამისად გადახდილია მოსაკრებელი თანხა 17 ლარი და 30 თეთრი.

- გაცემულია ინფორმაციების ელექტრონული ვერსიები დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილ ელექტრონულ ფოსტებზე.

- პერიოდულად ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების განთავსება საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.batumicc.ge.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის და გასაჩივრების არც ერთ ფაქტს არ ჰქონია ადგილი.

**ანგარიში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საჯარო ინფორმაციის
გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ 2014 წლის 05 დეკემბრის მდგომარეობით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ხელმძღვანელობს რა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნებით, გარკვეულ მუშაობას ატარებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, დადგენილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი. დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია, თვალსაჩინო ადგილას, სპეციალურ საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონები, სამსახურებრივი ინსტრუქცია და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ სამართლებრივი აქტის ასლი. საინფორმაციო დაფაზე ასევე განთავსებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა ჩამონათვალი და საკონტაქტო ტელეფონები, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ ოპერატიულად დაკავშირება მათთვის საჭირო საჯარო მოხელესთან.

2014 წლის 05 დეკემბრის მდგომარეობით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში და საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე შემოსულია 894 მომართვა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. ამათგან 867 გაცემულია საჯარო ინფორმაციები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დაცვით. გაცემული ინფორმაციების ქსეროასლების რაოდენობა შეადგენს A4 39 459 გვერდს, შესაბამისად, გადახდილია ასლის გადაღებისათვის მოსაკრებელი თანხა 1887 ლარისა და 70 თეთრის ოდენობით. ადგილი არ ჰქონია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმას, შესაბამისად გასაჩივრების ფაქტებიც არ დაფიქსირებულა.